ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ო ქ მ ი # 4

ქ. ონი 28. 04. 2022 წ.

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე ბაჩანა მარკოიშვილი.

საკრებულოს 33 წევრიდან სხდომას ესწრებოდა 27 წევრი: ბაჩანა მარკოიშვილი, ალავერდ ხვედელიანი, შუქურა ჯაფარიძე, გიორგი მარკოიშვილი, ვასილ მეტრეველი, ფრიდონ გოგრიჭიანი, ლევან ორდინიძე, სერგო ლობჯანიძე, თორნიკე მეტრეველი, სონია გუგეშაშვილი, ნინო გობეჯიშვილი, ბიჭიკო კერვალიშვილი, ნოდარ ბურდილაძე, ნინო ბერუჩაშვილი, გივი მეტრეველი, როსტომ ლობჯანიძე, მერაბ ბიჭაშვილი, ვლადიმერ ბერელიძე, მამუკა ყავლაშვილი, ბესიკი მაისურაძე, რევაზ საბანაძე, ბიძინა ყიფიანი, ნონა მაისურაძე, თეიმურაზ ცეცაძე, თამაზ მეტრეველი, შალვა კახეთელიძე, თამილა არჩვაძე.

არ ესწრებოდნენ: გიორგი მეშვილდიშვილი, მადლენა მეტრეველი, ემზარ საბანაძე, ზურაბ ბენდიანიშვილი, ანა ბაქრაძე, გელა მეტრეველი.

სხდომას ესწრებოდნენ: საკრებულოს აპარატის უფროსი ალექსანდრე კერვალიშვილი, მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე გიორგი ნოდარიშვილი, მერის მრჩეველი სამოქალაქო საკითხებში თამარ ხომასურიძე, მერიის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი ირინა გობეჯიშვილი, საფინანსო სამსახურის ბიუჯეტის დაგეგმარების განყოფილების უფროსი თინათინ ბროლაშვილი, მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი თეიმურაზ გრძელიშვილი, მერიის სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების უფროსი მარინე რაზმაძე.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1.ონის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების დამტკიცების შესახებ.
/მომხსენებელი: გიორგი ნოდარიშვილი-მერის I მოადგილე, თანამომხს. თინათინ ბროლაშვილი - მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ბიუჯეტის დაგეგმარებისა განყოფილების უფროსი/

2,,ონის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის" დამტკიცების შესახებ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის N19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.
/მომხსენებელი: გიორგი ნოდარიშვილი-მერის I მოადგილე, თანამომხს. მარინე რაზმაძე - მერიის სამსახურის სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის განყოფ. უფროსი/

3.ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების შპს “ ონის მუნიციპალიტეტის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სერვის ჯგუფისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობაში (უსასყიდლოდ), თხოვების ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე".

/მომხსენებელი: გიორგი ნოდარიშვილი-მერის I მოადგილე, თანამომხს. ირინა გობეჯიშვილი - ეკონომიკის სამსახურის უფროსი/

4. ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 27 თებერვლის №4 განკარგულებაში „ ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სამგზავრო გადაყვანების მარშრუტების ინტენსივობისა და ტარიფების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: გიორგი ნოდარიშვილი-მერის I მოადგილე, თანამომხს. ირინა გობეჯიშვილი - ეკონომიკის სამსახურის უფროსი/

5.მერთა შეთანხმება კლიმატის ცვლილების შედეგთა შერბილებისა და ადაპტაციის მიზნების შესახებ.

/მომხსენებელი: გიორგი ნოდარიშვილი-მერის I მოადგილე, თანამომხს. ირინა გობეჯიშვილი - ეკონომიკის სამსახურის უფროსი/

6. ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის ინფორმაცია 2022 წლის I კვარტლის სარეზერვო ფონდის ხარჯვის შესახებ.

/მომხსენებელი: სერგო ლობჯანიძე - კომისიის თავმჯდომარე/

7. ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, ახალგაზრდულ საქმეთა და სოციალურ საკითხთა კომისიის ინფორმაცია ონის მუნიციპალიტეტის აიპ ბავშვთა და მოზარდთა სასპორტო სკოლის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ.

/მომხსენებელი: სონია გუგეშაშვილი - კომისიის თავმჯდომარე/

8. ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის ინფორმაცია განვლილი სამი თვის მუშაობის შესახებ.

/მომხსენებელი: ვლადიმერ ბერელიძე - კომისიის თავმჯდომარე/

9. საკრებულოს წევრის ემზარ საბანაძის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ.

/მომხსენებელი: ვლადიმერ ბერელიძე - კომისიის თავმჯდომარე/

დღის წესრიგი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე-ყველა, წინააღმდეგი-არცერთი

დამტკიცდა დღის წესრიგი

მოისმინეს: 1. ონის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების დამტკიცების შესახებ.
/მომხსენებელი: გიორგი ნოდარიშვილი-მერის I მოადგილე, თანამომხს. თინათინ ბროლაშვილი - მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ბიუჯეტის დაგეგმარებისა განყოფილების უფროსი/

მომხსენებელმა სხდომას გააცნო განკარგულების პროექტი ონის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების დამტკიცების შესახებ.
აზრი გამოთქვა ს. ლობჟანიძემ და აღნიშნა, რომ საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ კომისიის სხდომაზე განიხილა წარმოდგენილი საკითხი, აღსანიშნავია, რომ ნაშთის სახით დარჩენილი 6 000 000 ლარი საკმაოდ დიდი თანხაა, რაც გარკვეული სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზებითაა გამოწვეული და საჭიროა მეტი ერთობლივი მუშაობა და ძალისხმევა, მომავალში მსგავსი პრობლემის თავიდან ასაცილებლად.

თ. მეტრეველმა ისაუბრა საკრებულოს ფრაქციებისთვის სამუშაო პირობების შექმნის, სხდომათა დარბაზის მოწყობის შესახებ, მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურული პროექტების ხარისხზე, სოფ. ჯინჭვისში დასრულებული საპირფარშოს გაუმართაობაზე, ქალაქში, ცენტრალურ ქუჩაზე მდგომი, ავარიის შედეგად დაზიანებული, სატვირთო ავტომობილის გაყვანის აუცილებლობაზე და აღნიშნა, რომ იხარჯება თანხები, საქმე კი შეუსრულებელია, ვზივართ წუმპეში, საქმეს ასრულებენ თაღლითი მეწარმეები და უხარისხოდ შესრულებული პროექტები ჩაბარებულია.

გ. ნოდარიშვილმა აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტი ყოველთვის მზადაა თანამშრომლობისთვის და მიმართა თ. მეტრეველს, მაქსიმალურად ჩაერთოს მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროცესებში.

თ. ცეცაძემ აღნიშნა, რომ იგი არ საუბრობს ჩასაფრებული პოზიციიდან. ისაუბრა ფრაქციისთვის სამუშაო პირობების შექმნის აუცილებლობაზე და აღნიშნა, რომ საკრებულოში ყოფნის პერიოდი ის პერიოდია, როცა ხალხისთვის ვერ შეძლო რამე გაეკეთებინა, რაც უჩვეულოა მისთვის, როგორც ადამიანისთვის, ასევე, აღნიშნა, რომ მიუღებელია ისეთი მუნიციპალიტეტისათვის, როგორიც ონია, თანხა 6 000 000 ლარის ოდენობით დარჩეს აუთვისებელი.

ბ. მარკოიშვილმა განმარტა, რომ საკრებულო და მერია განთავსდება ყოფილი საავადმყოფოს შენობაში მისი რემონტის შემდეგ და სამუშაო ინფრასტრუქტურის პრობლემა ამ გზით მოგვარდება.

ნ. ბურდილაძემ ისაუბრა ბიუჯეტიდან განვლილ წელს დარჩენილი თანხის შესახებ და აღნიშნა, რომ ესაა მნიშვნელოვანი პრობლემა მუნიციპალიტეტისთვის, ისაუბრა როგორც სპორტსმენებისთვის, ასევე სამამულო ომის ვეტერანისათვის გამოყოფილი თანხის მიზერულ ოდენობაზე.

ვ. მეტრეველმა განმარტა, რომ ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ სხდომაზე გამოითქვა შენიშვნები როგორც ბიუჯეტიდან დარჩენილ ნაშთებზე, ასევე მიმდინარე

ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, ზედამხედველობის სამსახურზე და ყველა იმ საკითხზე, რაც აქტუალურია მოსახლეობისთვის, შენიშვნები წერილობით გაეგზავნა მუნიციპალიტეტის მერიას და იმედია, ეტაპობრივად შესაძლებლობის ფარგლებში გათვალისწინებული იქნება.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე -ყველა, წინააღმდეგი - არცერთი

გადაწყდა: დამტკიცდა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მოისმინეს: 2. ,,ონის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის" დამტკიცების შესახებ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის N19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.
/მომხსენებელი: გიორგი ნოდარიშვილი-მერის I მოადგილე, თანამომხს. მარინე რაზმაძე - მერიის სამსახურის სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის განყოფ. უფროსი/

მომხსენებელმა სხდომას წარუდგინა დადგენილების პროექტი ,,ონის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის" დამტკიცების შესახებ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის N19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ და აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროექტით ცვლილება შედის დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-15 მუხლის მე-2 ნაწილში და საჭიროა, ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: მუნიციპალური პროგრამით გათვალისწინებული სოციალური დახმარების დანიშვნას და გაცემის ორგანიზებას უზრუნველყოფს ონის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის განყოფილება-მეორადი სტრუქტურული ერთეული.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე -ყველა, წინააღმდეგი - არცერთი

გადაწყდა: დამტკიცდა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მოისმინეს: 3. ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების შპს " ონის მუნიციპალიტეტის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სერვის ჯგუფისათვის" პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობაში (უსასყიდლოდ), თხოვების ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე".
/მომხსენებელი: გიორგი ნოდარიშვილი-მერის I მოადგილე, თანამომხს. ირინა გობეჯიშვილი - ეკონომიკის სამსახურის უფროსის/

მომხსენებელმა სხდომას გააცნო განკარგულების პროექტი ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების შპს ,,ონის მუნიციპალიტეტის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სერვის ჯგუფისათვის" პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობაში (უსასყიდლოდ), თხოვების ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე".

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე -ყველა, წინააღმდეგი - არცერთი

გადაწყდა: დამტკიცდა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

.

მოისმინეს: 4. ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 27 თებერვლის №4 განკარგულებაში „ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სამგზავრო გადაყვანების მარშრუტების ინტენსივობისა და ტარიფების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: გიორგი ნოდარიშვილი-მერის I მოადგილე, თანამომხს. ირინა გობეჯიშვილი - ეკონომიკის სამსახურის უფროსის/

მომხსენებელმა სხდომას გააცნო განკარგულების პროექტი ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 27 თებერვლის №4 განკარგულებაში „ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სამგზავრო გადაყვანების მარშრუტების ინტენსივობისა და ტარიფების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე -ყველა, წინააღმდეგი - არცერთი

გადაწყდა: დამტკიცდა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მოისმინეს: 5. მერთა შეთანხმება კლიმატის ცვლილების შედეგთა შერბილებისა და ადაპტაციის მიზნების შესახებ.

/მომხსენებელი: გიორგი ნოდარიშვილი-მერის I მოადგილე, თანამომხს. ირინა გობეჯიშვილი - ეკონომიკის სამსახურის უფროსი/

მომხსენებელმა სხდომას გააცნო განკარგულების პროექტი- მერთა შეთანხმება კლიმატის ცვლილების შედეგთა შერბილებისა და ადაპტაციის მიზნების შესახებ.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე -ყველა, წინააღმდეგი - არცერთი

გადაწყდა: დამტკიცდა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მოისმინეს: 6. ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის ინფორმაცია ონის მუნიციპალიტეტის 2022 წლის I კვარტლის სარეზერვო ფონდის ხარჯვის შესახებ.

/მომხსენებელი: სერგო ლობჯანიძე - კომისიის თავმჯდომარე/

მომხსენებელმა სხდომას გააცნო ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის ინფორმაცია ონის მუნიციპალიტეტის 2022 წლის I კვარტლის სარეზერვო ფონდის ხარჯვის შესახებ.

ცნობად იქნა მიღებული წარმოდგენილი ინფორმაცია.

მოისმინეს: 7. ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, ახალგაზრდულ საქმეთა და სოციალურ საკითხთა კომისიის ინფორმაცია ონის მუნიციპალიტეტის აიპ ბავშვთა და მოზარდთა სასპორტო სკოლის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ.

/მომხსენებელი: სონია გუგეშაშვილი - კომისიის თავმჯდომარე/

მომხსენებელმა სხდომას გააცნო ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, ახალგაზრდულ საქმეთა და სოციალურ საკითხთა კომისიის ინფორმაცია ონის მუნიციპალიტეტის აიპ ბავშვთა და მოზარდთა სასპორტო სკოლის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ.

ცნობად იქნა მიღებული წარმოდგენილი ინფორმაცია.

მოისმინეს: 8. ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის ინფორმაცია განვლილი სამი თვის მუშაობის შესახებ.

/მომხსენებელი: ვლადიმერ ბერელიძე - კომისიის თავმჯდომარე/

მომხსენებელმა სხდომას გააცნო ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის ინფორმაცია განვლილი სამი თვის მუშაობის შესახებ.

ცნობად იქნა მიღებული წარმოდგენილი ინფორმაცია.

მოისმინეს 9: ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ემზარ საბანაძის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ

/მომხსენებელი: ვლადიმერ ბერელიძე - კომისიის თავმჯდომარე/

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო ინფორმაცია „გახარია საქართველოსთვის“ პარტიული სიით არჩეული ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ემზარ საბანაძის პირადი განცხადების საფუძველზე საკრებულოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ. ემზარ საბანაძის განცხადება საკრებულოს აპარატში რეგისტრირებულია 2022 წლის 27 აპრილს. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველოს კოდექსი“ 43-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-3 პუნქტის, “ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 15

ივლისის N13 დადგენილებით დამტკიცებული საკრებულოს რეგლამენტის მე-13 მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-6 პუნქტის შესაბამისად, პირადი განცხადების საფუძველზე საკრებულოს წევრს უფლებამოსილება უწყდება განცხადების საკრებულოს აპარტში რეგისტრაციის მომდევნო დღიდან და საკრებულო აღნიშნულ გადაწყვეტილებას სხდომაზე იღებს ცნობის სახით კენჭისყრის გარეშე. აქედან გამომდინარე, ემზარ საბანაძეს საკრებულოს წევრის უფლებამოსილება შეუწყდება 2022 წლის 28 აპრილიდან.

ცნობად იქნა მიღებული, რომ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრს ემზარ საბანაძეს პირადი განცხადების საფუძველზე ვადამდე შეუწყდა საკრებულოს წევრის უფლებამოსილება 2022 წლის 28 აპრილიდან.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ბაჩანა მარკოიშვილი

საკრებულოს თავმჯდომარე